შპს „სერვისი-7“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „სერვისი-7“

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ.....3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....4-6

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....8
კაპიტალის ცვლილების ანგარიში.....9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში.....10

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

1. შპს ,,სერვისი-7“ და მისი საქმიანობა.....11
2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა.....11
3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პროგნოზები.....23
4. ძირითადი საშუალებები.....29
5. მარაგები.....30
6. სავაჭრო მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები.....30
7. ფული და ფულის ექვივალენტები.....31
8. საწესდებო კაპიტალი.....31
9. სესხები.....31
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....32
11. შემოსავალი.....32
12. რეალიზაციის თვითღირებულება.....33
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....33
14. სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი და ხარჯი.....34
15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....34
16. ფინანსური რისკების მართვა.....35
17. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....38
18. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....38

შპს „სერვისი 7“-ს

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სერვისი 7“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მარიგებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მარიგებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 სექტემბერს.

შპს „სერვისი 7“-ს 204532899 GEORGIA, "SERVICE-7" LTD

ნინო ჩხაიძე
დირექტორი

ვლადიმერ ლომაძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 20 სექტემბერი
საქართველო, ბათუმი

LTD „ELIT AUDIT”

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო.
სერთიფიკატი №6/281 **SERTIFICATE z#6/281;** **SARAS-F-479381**
ქ. ბათუმი კობალაძის ქ.№13,ბ17 *ს/კ 245627978* ***T - 577 999007***

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „სერვისი 7“-ის დამფუძნებლებსა და დირექტორებს:

ჩვენ ჩავატარეთ შ.პ.ს. ,,სერვისი-7“ (ს/კ 204532899) (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგება ან ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

აუდიტორის მოსაზრებით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, **ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად** ასახავს **შ.პ.ს. ,,სერვისი-7“** ფინანსურ მდგომარეობას **2019 წლის 31 დეკემბრისათვის**, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების **(ფასს)** შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატრებულ იქნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (**ასს-ების**) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ აბსოლიტურად დამოუკიდებელი ვართ **შ.პ.ს. ,,სერვისი-7“** -გან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. ასევე შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება მივაპყროთ ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაზე, რომელიც მიგვითითებს 2020 წლის დასაწყისში, მსოფლიო მასშტაბით კორონა ვირუსის გავრცელების თაობაზე, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკა შეაფერხა. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეფექტის შეფასება კომპანიის მომავალი ფუნქციონირების ასპექტში. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პასუხისმგებლობა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და ზუსტად წარმოდგენაზე ეკისრება **,,კომპანიის“ მენეჯმენტს.** აღნიშნული პასუხიმგებლობა ითვალისწინებს: ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან და ზუსტად წარმოდგენასთან დაკავშირებით შიდა კონტროლის დაგეგმვას, განხორციელებასა და უზრუნველყოფას იმგვარად, რომ მათში არ იყოს მნიშვნელოვანი უზუსტობები თაღლითობისა და შეცდომის გამო, ამასთან სათანადო სააღრიცხვო მეთოდების შერჩევას და გამოყენებას და არსებულ პირობებში სათანადო ბუღალტრული შეფასებების წარმოდგენას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

აუდიტორის პასუხისმგებლობაა განხორციელებული აუდიტის საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშებზე.

აუდიტი განვახორციელეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით მოითხოვება, რომ დავიცვათ ეთიკური მოთხოვნები და გეგმა და აუდიტი ჩავატაროთ დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით იმის თაობაზე, რომ ფინანსურ ანგარიშებში არ არის რაიმე სახის არსებითი უზუსტობა.

აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

შევამოწმეთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობა, ასევე განვიხილეთ ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობა.

• მოვიპოვეთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებები ,,კომპანიის“ საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ აზრი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მართვაზე უფლებამოსილ პირებს, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, ვადებისა და მაშტაბის, მათ შორის, შიდა კონტროლის სიტემაში გამოვლენილი შესაძლო ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „*ELIT AUDIT*“
გარიგების პარტნიორის სახელით
კახა ხელაძე



2020 წლის 20 სექტემბერი
საქართველო, ბათუმი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	19,116,944	23,217,031
არამატერიალური აქტივები		17,986	26,577
სულ გრძელვადიანი აქტივები		**19,134,930**	**23,243,608**
მოკლევადიანი აქტივები		24,164	
დებიტორული დავალიანება და ავანსები	6	38,574	56,063
მარაგები	7	865,762	703,725
ზედმეტად გადახდილი გადასახადები	8	93,277	103,264
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	9	1,223,262	1,172,092
სულ მოკლევადიანი აქტივები		**2,245,039**	**2,035,143**
სულ აქტივები		**21,379,969**	**25,278,751**
ვალდებულებები და კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	67,019,455	67,019,455
გაუნაწილებელი მოგება		(41,750,766)	(40,586,730)
საანგარიშო წლის მოგება		(3,912,853)	(1,164,036)
სულ კაპიტალი		**21,355,836**	**25,268,689**
გადასახდელი ხელფასი		180	8
კრედიტორული დავალიანება	10	23,953	10,054
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**24,133**	**10,062**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**21,379,969**	**25,278,751**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 სექტემბერს.

ნინო ჩხაიძე
დირექტორი

ვლადიმერ ლომაძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 20 სექტემბერი
საქართველო, შეკვეთილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2019	2018
ამონაგები		2,276,847	2,209,675
პირდაპირი ხარჯები		(5,605,156)	(5,772,598)
მთლიანი მოგება		(3,328,310)	(3,562,924)
კომერციული ხარჯები		(3,067)	(4,815)
ადმინისტრაციული ხარჯები		(656,328)	(662,770)
არასაოპერაციო შემოსავლები			3,014,901
ფინანსური შემოსავლები		79,207	67,805
ფინანსური ხარჯები		(4,373)	(16,234)
განსაკუთრებული შემოსავლები		18	
განსაკუთრებული ხარჯები			
საანგარიშო წლის მოგება		(3,912,853)	(1,164,036)
მოგების გადასახადი			
საანგარიშო წლის წმინდა მოგება	9	(3,912,853)	(1,164,036)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 სექტემბერს.

ნინო ჩხაიძე
დირექტორი

ვლადიმერ ლომაძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 20 სექტემბერი
საქართველო, შეკვეთილი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საქციო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	67,019,455	(40,586,730)	26,432,725
მოგება წლის განმავლობაში		(1,164,036)	(1,164,036)
მესაკუთრეებთან პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები			-
დივიდენდები			-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	67,019,455	(41,750,766)	25,268,689
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	67,019,455	(41,750,766)	25,268,689
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			-
მესაკუთრეებთან პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები			-
დივიდენდები			-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	67,019,455	(45,663,619)	21,355,836

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 სექტემბერს.

ნინო ჩხაიძე
დირექტორი

ვლადიმერ ლომაძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 20 სექტემბერი
საქართველო, შეკვეთილი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019	2018
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
გაცემული ავანსები	(38,574)	(56,063)
მიღებულია დებიტორებისგან	2,684,187	2,614,719
გაცემულია ანგარიშვალდებულ პირებზე	(34,695)	(61,067)
მიღებულია ანგარიშვალდებული პირისგან	1,350	2,225
გაცემულია მომწოდებლებზე	(913,953)	(952,923)
გადახდილია გადასახადები	(769,936)	(885,887)
გადახდილია ხელფასები	(900,546)	(873,157)
გაწეულია ხარჯები	(11,414)	(12,203)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**16,420**	**(224,355)**
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	38,834	66,680
საკურსო სხვაობის ხარჯი	(4,352)	(7,388)
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	268	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**34,750**	**59,292**
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების რეალიზაციიდან შემოსავალი		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ზრდა	51,170	(165,063)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**1,172,092**	**1,337,155**
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**1,223,262**	**1,172,092**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 სექტემბერს.

ნინო ჩხაიძე
დირექტორი

ვლადიმერ ლომაძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 20 სექტემბერი
საქართველო, შეკვეთილი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. საერთო ინფორმაცია შპს „სერვისი 7“_ს შესახებ

დასახელება *შპს „სერვისი-7”*
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება*
საიდენტიფიკაციო კოდი *204532899*
დაფუძნების თარიღი *29ივნისი 2007 წელი*
დამფუძნებელი *საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო*
დამფუძნებლის ბრძანების №*1-1/950* და თარიღი *26.06.07*
რეგისტრაციის №*204532899*, თარიღი *29.06.2007* , მარეგისტრირებელი ორგანო *თბილისის საგადასახადო ინსპექცია.*
საწესდებო კაპიტალის ოდენობა დაფუძნებისას *40691130ლარი*
დამფუძნებლის წილი საწესდებო კაპიტალში *100%*

კომპანიის საქმიანობის სფეროები:
1. გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები
2. საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა
3. სხვა ტექნიკის, მოწყობილობების და მატერიალური საშუალებების იჯარა

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართი: შეკვეთილი, საქართველო.

ფაქტიური მისამართი: შეკვეთილი, საქართველო

2. შპს „სერვისი-7“_ის ფუნქციონირების პირობები

შპს „სერვისი-7“ _ს ფინანსური ანგარიშგება შედგება ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებისაგან საანგარიშგებო პერიოდისათვის. საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდეგში - ფასს), რომელიც შედგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს), დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ , ასევე ინტერპრეტაციები, შემუშავებული ინტერპრეტაციების როგორც ძველი, ასევე ახალი კომიტეტების მიერ.

კომპანია ეწევა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენას საქართველოში მიღებული ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. მოცემული ანგარიშგება სრულად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა გამოყენება ფართოვდება.

შპს „სერვისი-7“ _ს შემუშავებული აქვს სააღრიცხვო პოლიტიკა.
მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით და ისტორიული ღირებულებით. გადახრა ისტორიულ ღირებულებიდან გახსნილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების შესაბამის განაყოფში.

პრაქტიკაში ოპერაციის არსი და სხვა ვალდებულებები, ასევე მოვლენები ყოველთვის არ პასუხობენ იურიდიულ ფორმას. შპს „სერვისი-7“ -მა ჩამოაყალიბა და აღრიცხვას აწარმოებს არა მხოლოდ მისი იურიდიული ფორმის შესაბამისად, არამედ მისი შინაარსის და ეკონომიკური არსის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასის მიხედვით ხელმძღვანელობისგან საჭიროებს ანგარიშგებაში შეფასებებსა და წინადადებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების

ასახვაზე და ინფორმაციის გახსნაზე პოტენციურ აქტივებსა და ვალდებულებებზე. შეფასების მონაცემები ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ მონაცემებს. ფაქტიური შედეგები განსხვავდება მიმდინარე შეფასებისაგან. ეს შეფასებები გადაიხედება პერიოდულად, აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირდება, ასეთი კორექტირებები აისახება ფინანსური შედეგების შემადგენლობაში იმ პერიოდში, როცა იქნა ცნობილი.

წარდგენის ვალუტა

აღრიცხვა იწარმოება ქართულ ლარებში. ეფუძნება ოპერაციისა და საქმიანობის ეკონომიკურ არსს. კომპანიამ განსაზღვრა ქართული ლარი შეფასების ვალუტად. სხვა ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები განიხილება უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებად. ქართული ლარი წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ტერიტორიაზე.

შპს ,,სერვისი-7“ _ს *ფუნქციონირების პერსპექტივები უახლოეს მომავალში*

კომპანია მუშაობს გასართობი ატრაქციონების გაფართოებაზე. მომავალ წელს იგეგმება ახალი ატრაქციონების დამატება. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ **შპს ,,სერვისი-7”** ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს).

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ცალკეული ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად. ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის ძირითადი პირობები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებელებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია,

რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.
გარდა ამისა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფინანსური ინსტრუმენტი მიიჩნევა კვოტირებულად აქტიურ ბაზარზე თუ განხორციელებული კომერციული გარიგებიდან ადვილად შეიძლება კვოტირებულ ფასზე ინფორმაციის მოპოვება და ეს ფასები წარმოადგენს ფაქტობრივ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები, ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების მეთოდებში შეიძლება გამოყენებულ იქნას დაშვებები, რომლებიც ეფუძნება არადაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთდება შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა თუ ეს დაშვებები რაიმე სახით გამოიწვევს მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

გარიგების ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს, დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს.(მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის

სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

შეფასების მიზნით, ბასს 39-ში (“ფინანსური ინსტრუმენტები: შეფასების აღიარება”), ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანებები და (ბ) სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები (“FVTPL”). მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები იყოფა ორ ქვეკატეგორიად: (I) საწყისი აღიარებისას ამგვარად აღნიშნული აქტივები და (II) აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ განკუთვნილი. გარდა ამისა, ფინანსური იჯარიდან მისაღები სახსრები ცალკე კატეგორიას განეკუთვნება. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი შედის სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მიეკუთვნება სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიას.

სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან არაფიქსირებული დაფარვების მქონე არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს გარდა იმ აქტივებისა, რომელთა რეალიზაციასაც კომპანია ახლო მომავალში აპირებს. გარდა ამისა, კომპანიამ ახლად შესყიდულ ფინანსურ აქტივებს თავდაპირველი აღიარებისას შეიძლება მიანიჭოს „გასაყიდად განკუთვნილის“, „დაფარვის ვადამდე ფლობილის“ ან „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულის“ კვალიფიკაცია იმის მიხედვით, თუ როგორია ამ ინსტრუმენტების ბუნება ან მენეჯმენტის განზრახვები მასთან მიმართებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. კომპანიიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულება და აღირიცხება ამორტიზიბული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. შვილობილი კომპანია არის პირი, რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აისახება თვითღირებულებით. შვილობილი კომპანიებიდან ან ასოცირებული პირისგან მიღებული დივიდენდები კომპანიის ფინანსური ინფორმაციის მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარდება მაშინ, როდესაც განისაზღვრება დივიდენდის მიღების უფლება.

იმის განსასაზღვრად, არის თუ არა აუცილებელი გაუფასურების ზარალის აღიარება შვილობილ კომპანიაში ინვესტიციასთან დაკავშირებით, გამოიყენება ბასს 39-ის მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებელია, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება, როგორც ერთი მთლიანი აქტივი, გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით - მისი აღდგენადი ღირებულების (გამოყენებულ ღირებულებასა და სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უდიდესი ღირებულება) შედარებით მის საბალანსო ღირებულებასთან. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა ასევე აღიარდება ბასს 36-ის თანახმად - ინვესტიციის აღდგენადი ოდენობის შემდგომი გაზრდით.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმადაც მეიჯარე, შემოსავლის მიღების მიზნით, გადასცემს მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა გულისხმობს აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. საკუთრების უფლების გადაცემა სავალდებულო არ არის.

მეიჯარის ბალანსში ფინანსური იჯარა აღიარებულ უნდა იქნას აქტივის და შესაბამისი ვალდებულების სახით. აქტივისა და ვალდებულების შეფასება ხდება საიჯარო ქონების რეალური ღირებულებით საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისათვის.

ჩვეულებრივი იჯარის დროს უნდა დაირიცხოს საანგარიშო პერიოდის საიჯარო ხარჯები. ხარჯების აღიარება ხდება სისტემატიურ საფუძველზე. მისი სიდიდე დამოკიდებულია დროის მონაკვეთის ხანგრძლივობაზე, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე იღებს ეკონომიკურ სარგებელს მოცემული აქტივის გამოყენების შედეგად.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან

რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.
გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ სასარგებლო ვადაზე მათი ღირებულების თანაბარი განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობა-ნაგებობები	20
საოფისე მოწყობილობები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
მანქანა-დანადგარები	15
ოფისის აღჭურვილობა	10
არამატერიალური აქტივები	10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ცალკეული ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.
კომპანია შემოსავლების სამსახურისგან მისაღებ საგადასახადო აქტივებს აღიარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც კომპანია არარეზიდენტ პირებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით საშემოსავლო გადასახადს იხდის არარეზიდენტი პირის რეგისტრაციის ქვეყანაში.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ამორტიზირებულ ღირებულებებზე განხორციელებული ფინანსური აქტივების გაუფასურება.
გაუფასურების დანაკარგების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოქმნისას ერთი ან მეტი შემთხვევების შედეგად (დანაკარგის შემთხვევები), რომლებიც განხორციელდა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას და რომლებსაც აქვთ გავლენა თანხაზე ან ფინანსური აქტივის დადგენილი სამომავლო ფულადი სახსრების ბრუნვის დროის განსაზღვრა ან ფინანსური აქტივების კომპანია, რომელიც შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს, თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურება წარმოიქმნა ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, მიუხედავად იმისა მნიშვნელოვანია თუ არა ის და რომ ის მოიცავს აქტივს კომპანიაში მგავსი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებისთვის. საწყისი ფაქტორები იმისა, რომ კომპანია მიიჩნევს განსაზღვრაში არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული მისი გადავადებული სტატუსი და რეალიზება საკუთრების ბანკში ჩადებული უზრუნველყოფისა ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სხვა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმი გამოიყენება ასევე იმის გადასაწყვეტად არის თუ არა ობიექტური მტკიცებულება რომ წარმოიქმნა გაუფასურების დანაკარგი:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის დაკავშირებული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ზოგადად მთელი ქვეყნის თუ ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება კონტრაგენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება იანგარიშება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებაზე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, რომლიდანაც გამოქვითულია უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები მიუხედავად იმისა, დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის საფუძველზე.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწედებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

რეზერვები აისახება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა გაწევაც, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, გადასახადამდე განაკვეთით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულებისა და ვალდებულების სპეციფიური რისკების ბაზრისეული შეფასება. დროის გასვლით გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი/1 ევრო	3.2095	3.0701

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ცალკეული ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

შპს „სერვისი-7“ წარმოადგენს კომპანიას რომლის მთავარი საქმიანობა გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები.ამ მიმართულებით იგი ახდენს თანხების აკუმულირებას საბანკო ანგარიშებზე და მიმართავს მათ ზემოაღნიშნულ სფეროში თავისი პოზიციების გამყარებისკენ, ასევე მომსახურების სფეროს გაფართოებისაკენ.

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექმომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

5. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	მიწა	შენობები	ნაგებობები და მოწყობილობები	მოწყობილობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება 2018	208,553	3,315,885	17,280,683	-	44,596,281	61,517	351,818	251,967	112,032	66,264,638
გასვლა				(16,695)						-
შესყიდვა				27,517	88,210	18,729	157	9,322		90,992
გადატანა										-
ღირებულება 2019	208,553	3,315,885	17,280,683	10,822	44,684,491	80,246	351,975	261,289	112,032	66,264,638
ცვეთა 2018		1,222,089	5,592,866	-	35,584,205	43,673	304,769	124,485	89,617	43,021,030
ცვეთა 2019		1,387,838	6,552,645	-	38,632,253	50,609	325,332	148,814	91,539	47,189,031
წმინდა საბალანსო ღირებულება										
ღირებულება 2018	208,553	2,093,796	11,687,817	-	9,012,076	17,844	47,049	127,482	22,414	23,243,608
ღირებულება 2019	208,553	1,928,047	10,728,038	10,822	6,052,238	29,637	26,642	112,475	20,493	19,116,944

6. მარაგები

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, კომპანიას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით გააჩნია საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი მარაგები, ბალანსები მოიცავს შემდეგს:

მარაგები	2019	2018
საქონელი	21,479	26,983
ნედლეული და მასალა	1,098	100
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	843,184	676,642
ჯამი	**865,762**	**703,725**

მარაგები აღრიცხულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

7. სავაჭრო მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები

კომპანია ახდენს ანალიზურ აღრიცხვას დებიტორული დავალიანებების მიხედვით და საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშს არ იყენებს. დებიტორული მოთხოვნები მიმდინარეა. კრედიტორული დავალიანების ანგარიშისა და სახელფასო ანგარიშის ნაშთები წარმოადგენს პასიური ანგარიშის სადებეტო ნაშთებს რაც შინაარსობრივად წინასწარ ჩარიცხულ თანხაა. შესაბამისად კლასიფიცირებულია გაცემული ავანსების მუხლში.

მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სავაჭრო მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	33,297	32,998
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	259	797
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ-მოლარეები	-	126
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5,017	21,664
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	477
ჯამი	**38,574**	**56,063**

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ასახულია სამართლიანი ღირებულებით.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

2019 და 2018 წლების ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფულადი სახსრები და მათი ექვი.	2019	2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6,996	5,558
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,465	306,480
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში ანაბარზე	1,000,000	600,000
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში მოთხოვნამდე ანაბარზე	214,800	260,000
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	54

სულ	**1,223,262**	**1,172,092**

ანაბარისა და მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშები წარმოადგენს ბანკში გახსნილ ანაბრებს, რომელსაც ერიცხება სარგებელი ანაბრების მიხედვით შესაბამისად 7% და 5%-ის ოდენობით. ფულადი სახსრების ნაშთები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეესაბამება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ ნაშთებს.

9. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უმუალო მფლობელია სახელმწიფო (203840433).

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებებს წარმოადგენს ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის პირობებში მომწოდებელზე გადასახდელი თანხები. ასევე ავღნიშნავთ რომ მომწოდებელზე გადახდილი ავანსების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთი წარმოადგენს არსით მომწოდებლის დავალიანებას, რადგანაც მოხდა ჩარიცხულ ავანსზე გაცილებიტ მეტი ღირებულების საქონლის მოწოდება. შესაბამისად დებიტორებისა და მიღებული ავანსების საკრედიტო ნაშთები კლასიფიცირებულია როგორც სავაჭრო ვალდებულება. 2019 და 2018 წლების მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

კრედიტორული დავალიანება	2019	2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	1,017
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	23,953	9,037
ჯამი	**23,953**	**10,054**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია რეალური ღირებულებით.

11. შემოსავალი

შპს „სერვისი-7“ შემოსავლების დარიცხვას ახდენს დარიცხვის მეთოდით ბასს სტანდარტების შესაბამისად. რეგისტრირებულია დღგ გადამხდელად. შემოსავლის ძირითადი წყაროა გასართობი ატრაქციონებიდან მიღებული შემოსავლები, ასევე ბანკში ანაბარზე განთვსებულ თანხაზე დარიცხული პროცენტი. შემოსავალი შედგება შემდეგისაგან:

12. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება შემდეგისაგან :

	2019	2018
ძირითადი მასალების დანახარჯები	41,275	35,996
ელ.ენერგიის ხარჯები	85,174	93,890
პირდაპირი ხელფასი	838,842	802,892
დამხმარე მასალების დანახარჯები	377,177	520,375
500 ლარამდე ქონების ცვეთა	47,175	56,304
ცვეთა და ამორტიზაცია	4,165,994	4,249,940
რემონტის დანახარჯები	49,520	13,203
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	5,605,156	5,772,598

13. მიწოდებასა და რეკლამასთან დაკავშირებული ხარჯები

მიწოდებასა და რეკლამასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2019	2018
სარეკლამო ხარჯი	2,722	3,990
შრომის ანაზღაურება	344	563
მიწოდების სხვა ხარჯები	0.00	262.52
სულ მიწოდების და მომსახურების ხარჯები	**3,067**	**4,815**

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2019	2018
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	-	7,287
შრომის ანაზღაურება	306,574	288,932
სოციალური დანარიცხები	20,308	-
იჯარის ხარჯები	27,833	27,833
კომპიტერის ხარჯები	-	153
კომუნიკაციის ხარჯი	6,056	6,728
ცვეთა და ამორტიზაცია	22,749	18,175
საგადასახადო ხარჯები	225,947	272,535
ბანკის საკომისიო ხარჯები	11,048	11,130
მივლინების ხარჯები	154	225
დაზღვევა	1,206	-
კომუნალური ხარჯი	3,648	1,520
აუდიტორული მომსახურეობა	4,900	4,900
სხვა ხარჯი	25,905	23,353
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**656,328**	**662,770**

15. სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება :

	2019	2018
საპროცენტო შემოსავლები	57,954	66,673
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი	21,253	1,132
სხვა არასამეწარმეო ხარჯები	(4,373)	(16,234)
სულ საოპერაციო შემოსავალი, წმინდა	**74,834**	**51,571**

16. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2019 და 2018 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში გასათვალისწინებელია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები. რისკების მნიშვნელოვანი სახეებია საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ასევე გასათვალისწინებელია მის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები. ვინაიდან კომპანიის საქმიანობა სეზონური ხასიათისაა ფინანსური რისკების ანალიზს ხელმძღვანელობა ახდენს განსაკუთრებული ყურადღებით.

შპს ,,სერვისი-7“-ს ოპერაციების ხორციელდება, როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე უცხოურ ვალუტაში. ასეთი სიტუაცია იწვევს საკურსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების არსებობას. დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე, გაცემულ და მიღებულ სესხებზე წარმოიქმნება საკურსო სხვაობები.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული

ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრდიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.
ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

18. საანგარიშგებო პეროდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენა

COVID-19 – ის პანდემიასთან დაკავშირებულმა გლობალურმა მოვლენებმა გავლენა მოახდინა კომპანიის ფინანსურ შემოსავალზე, სახელმწიფო შეზღუდვებიდან გამომდინარე კომპანიამ მნიშვნელოვნად შეუმცირდა შემოსავლები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეფექტის შეფასება კომპანიის მომავალი ფუნქციონირების ასპექტში. ჩაკეტილმა საზღვრებმა და გამკაცრებულმა რეგულაციებმა გამოიწვია კომპანიის შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება წინა წლებთან შედარებით. მიუხედავად ამისა აღნიშნულ ფაქტორს კომპანიის ფუნქციონირება ეჭვქვეშ არ დაუყენებია.

19. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდეგ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა.

LTD „ELIT AUDIT”

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო.
სერთიფიკატი №6/281 SERTIFICATE z#6/281; SARAS-F-479381
ქ. ბათუმი კობალაძის ქ.№13,ბ17 ს/კ 245627978 T - 577 999007

დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი
შ.პ.ს. „სერვისი-7“(ს/კ 204532899)მენეჯმენტს

თქვენს მიერ აუდიტორისათვის წრამოდგენილი მართველობითი ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ გვინდა გაცნობოთ შემდეი:
ჩვენ წავიკითხეთ და დავამუშავეთ თქვენს მიერ წარმოდგენილი წერილი მართველობითი ანგარიშგების შესახებ, ასევე მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და მივიჩნიეთ რომ:

1. შ.პ.ს. სერვისი7-მა ფინანსურ ანგარიშგებესთნ ერთად მოამზადა წერილი მართველობითი ანგარიშგების შესახებ, ბუღალტრული აღრიცხვის , ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.
2. ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად არ შეინიშნება რაიმე არსებითი შეუსაბამობები მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

წარმოდგენილი მართველობითი ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის საქმიანობის სფეროებს
- სადამფუძნებლო ინფორმაციას
- შემოსავლების,შრომითი რესურსების, მენეჯმენტის მოკლე მიმოხილვას
- სამომავლო გეგმებსა და ხედვებს კომპანიის განვითარების სესახებ

ჩვენს მიერ გამოცემულია დასკვნა, შ.პ.ს. სერვისი7-ის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს ამ დასკვნასთან ერთად.

შპს ”ELIT AUDIT” /კახა ხელაძე/

2020 წლის 20 სეტემბერი

შპს"სერვისი-7"

ოზურგეთი, ნატანები,შეკვეთილი

ტელ: 568 68 24 45

Ltd "servisi-7"

Natanebi, OzurgeTi,Georgia

TEL: 568 68 24 45

მმართველობითი ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობის სფეროები

1. გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები
2. საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა
3. სხვა ტექნიკის, მოწყობილობების და მატერიალური საშუალებების იჯარა და ლიზინგი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის

კომპანიის სადამფუძნებლო ინფორმაცია (მოკლე მიმოხილვა)

დასახელება *შპს „სერვისი-7"*

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება*

საიდენტიფიკაციო კოდი *204532899*

დაფუძნების თარიღი *29ივნისი 2007წელი*

დამფუძნებელი *საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო*

დამფუძნებლის ბრძანების №*1-1/950* და თარიღი *26.06.07*

რეგისტრაციის №*204532899*, თარიღი *29.06.2007* , მარეგისტრირებელი ორგანო *თბილისის საგადასახადო ინსპექცია.*

საწესდებო კაპიტალის ოდენობა დაფუძნებისას *40691130ლარი*

დამფუძნებლის წილი საწესდებო კაპიტალში *100%*

2010 წლის 20 აგვისტოს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" თავმჯდომარის №1-3/784 ბრძანების საფუძველზე შპს „სერვისი-7"-ის კაპიტალში განხორციელდა დამატებითი შენატანი „ასოციაცია ატუ"-ს მიერ ეკონომიკური განვითარების სამინისტროზე უსასყიდლოდ გადაცემული ქონებით და კაპიტალი ცვლილებების შედეგად გახდა 60487022 ლარი.

2011 წლის 11 მაისს საქართველოს ეკონომოკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „მენეჯმენტ სერვისს" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შპს „სერვისი-7"-ის სახელწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი მართვის უფლებით პირდაპირი გადაცემის ფორმით გადაეცა შპს „მენეჯმენტ სერვისს".

შპს „სერვისი-7"-ის წილის 100%-ის მმართველი კომპანია შპს „მენეჯმენტ სერვისი" პარტნიორის 2016 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „სერვისი-7"-ის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა არაფულადი შენატანის გზით 6 532 432 ლარით.

წარმოების დეტალური მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს **გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები**. გასართობი ატრაქციონების პარკის საქმიანობა 2019 წლამდე იყო სეზონური და იგი მოიცავდა 15 ივნისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით პერიოდს.ატრაქციონების პარკი ფუნქციონირებდა 18 საათიდან 03 საათამდე.2019 წლის 1 ოქტომბრიდან 10 საათიდან 18 საათამდე ატრაქციონების პარკი მომსახურებას უწევდა ვიზიტორებს. ამ მიზნით გასართობ პარკს 2019 წლის განმავლობაში ეწვია დაახლოებით **325 000** ვიზიტორი, ხოლო პარკ ,,საქართველო მინიატურებში" სტუმრობდა **67000** ვიზიტორი. აღინიშნება ვიზიტორების რაოდენობის ზრდა წინა წლებთან შედარებით, რაც გამოწვეულია ტურისტების ნაკადის ზრდით.

საწარმოში 2019 წელს დასაქმებული იყო 70 შტატით განსაზღვრული თანამშრომელი, სეზონურად 15 ივნისიდან 16 სექტემბრამდე პერიოდში ემატება 135 სეზონური თანამშრომელი. გასულ წელთან შედარებით 2019 წელს საწარმომ მიიღო **67,172** ლარით მეტი შემოსავალი. 2019 წლის განმავლობაში საწარმოს მიერ ბიუჯეტში გადახილია 769,935.85 ლარი მ.შ. ქონების გადასახადი **220000**,დღგ **336340** ლარი, საშემოსავლო გადასახადი **206580** ლარი, იმპორტის გადასახადი **4695** ლარი.

ადგილობრივი ადმინისტრაციული მართვა

ადმინისტრაციული მართვის ზოგადი ქმედებები კომპანიის ოფისის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვას და ადმინისტრირებას გულისხმობს. ამ მიმართულებით კომპანიაში წარმატებით მიმდინარეობს შიდაკონტროლის სისტემების დანერგვა, რაც არის საქმიანობის ეფექტურობისა და სანდოობის მაღალი დონის გარანტია.
კომპანიის თანამშრომლებისათვის დაგეგმილია სხვადასხვა სახის ტრენინგებისა და სწავლებების ჩატარება მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.
საწარმოს უშალო ხელმძღვანელია დირექტორი, რომელსაც ექვემდებარება მოადგილე, შემდეგ დონეზე დაქვემდებარებაშია ბუღალტერია, დაცვის უფროსი, მთ. ინჟინერი, იურიდიული განყოფილება, კადრების განყოფილება, უსაფრთხოებისა და კონტროლის განყოფილებები. ხოლო გვედა დონეზე მათ ექვემდებარებიან უშალოდ სპეციალისტები და რიგითი თანამშრომლები.
აღნიშნული სტრუქტურუქტურული დაქვემდებარება ეფექტურია კომპანიის მართვის განსახორციელებად.

სამომავლო გეგმები და ხედვები.

2020 წლისათვის კომპანია გეგმავდა 1 ახალი ატრაქციონის შეძენას,გადახდის სადებიტო სისტემის მოდერნიზებას მაგრამ ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტი ვარაუდობს რომ 2020 წელს შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდება და კომპანია ვერ შეძლებს ატრაქციონის შეძენას,გადახდის სადებიტო სისტემის მოდერნიზებას. კომპანიის მენეჯმენტი ეცდება არსებული სიმძლავრეების და კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას ხელფასის ოდენობის შენარჩუნების ხარჯზე.

შპს „სერვისი-7”

დირექტორი:

შპს „სერვისი 7“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	19,116,944	23,217,031
არამატერიალური აქტივები		17,986	26,577
სულ გრძელვადიანი აქტივები		**19,134,930**	**23,243,608**
მოკლევადიანი აქტივები		24,164	
დებიტორული დავალიანება და ავანსები	6	38,574	56,063
მარაგები	7	865,762	703,725
ზედმეტად გადახდილი გადასახადები	8	93,277	103,264
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	9	1,223,262	1,172,092
სულ მოკლევადიანი აქტივები		**2,245,039**	**2,035,143**
სულ აქტივები		**21,379,969**	**25,278,751**
ვალდებულებები და კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	67,019,455	67,019,455
გაუნაწილებელი მოგება		(41,750,766)	(40,586,730)
საანგარიშო წლის მოგება		(3,912,853)	(1,164,036)
სულ კაპიტალი		**21,355,836**	**25,268,689**
გადასახდელი ხელფასი		180	8
კრედიტორული დავალიანება	10	23,953	10,054
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**24,133**	**10,062**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**21,379,969**	**25,278,751**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 სექტემბერს.

_____ _____

ნინო ჩხაიძე **ვლადიმერ ლომაძე**
დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

2020 წლის 20 სექტემბერი
საქართველო, შეკვეთილი

შპს „სერვისი 7“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2019	2018
ამონაგები		2,276,847	2,209,675
პირდაპირი ხარჯები		(5,605,156)	(5,772,598)
მთლიანი მოგება		**(3,328,310)**	**(3,562,924)**
კომერციული ხარჯები		(3,067)	(4,815)
ადმინისტრაციული ხარჯები		(656,328)	(662,770)
არასაოპერაციო შემოსავლები			3,014,901
ფინანსური შემოსავლები		79,207	67,805
ფინანსური ხარჯები		(4,373)	(16,234)
განსაკუთრებული შემოსავლები		18	
განსაკუთრებული ხარჯები			
საანგარიშო წლის მოგება		**(3,912,853)**	**(1,164,036)**
მოგების გადასახადი			
საანგარიშო წლის წმინდა მოგება	9	**(3,912,853)**	**(1,164,036)**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 სექტემბერს.

_____ _____

ნინო ჩხაიძე
დირექტორი

ვლადიმერ ლომაძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 20 სექტემბერი
საქართველო, შეკვეთილი

შპს „სერვისი 7“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	სააქციო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**67,019,455**	**(40,586,730)**	**26,432,725**
მოგება წლის განმავლობაში		(1,164,036)	(1,164,036)
მესაკუთრეებთან პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები			-
დივიდენდები			-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**67,019,455**	**(41,750,766)**	**25,268,689**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	67,019,455	(41,750,766)	25,268,689
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			-
მესაკუთრეებთან პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები			-
დივიდენდები			-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**67,019,455**	**(45,663,619)**	**21,355,836**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 სექტემბერს.

_____ _____

ნინო ჩხაიძე
დირექტორი

ვლადიმერ ლომაძე
მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 20 სექტემბერი
საქართველო, შეკვეთილი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019	2018
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
გაცემული ავანსები	(38,574)	(56,063)
მიღებულია დებიტორებისგან	2,684,187	2,614,719
გაცემულია ანგარიშვალდებულ პირებზე	(34,695)	(61,067)
მიღებულია ანგარიშვალდებული პირისგან	1,350	2,225
გაცემულია მომწოდებლებზე	(913,953)	(952,923)
გადახდილია გადასახადები	(769,936)	(885,887)
გადახდილია ხელფასები	(900,546)	(873,157)
გაწეულია ხარჯები	(11,414)	(12,203)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**16,420**	**(224,355)**
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	38,834	66,680
საკურსო სხვაობის ხარჯი	(4,352)	(7,388)
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	268	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**34,750**	**59,292**
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების რეალიზაციიდან შემოსავალი		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-**	**-**
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ზრდა	**51,170**	**(165,063)**
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**1,172,092**	**1,337,155**
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**1,223,262**	**1,172,092**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 სექტემბერს.

ნინო ჩხაიძე	**ვლადიმერ ლომაძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2020 წლის 20 სექტემბერი
საქართველო, შეკვეთილი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. საერთო ინფორმაცია შპს „სერვისი 7“_ს შესახებ

დასახელება შ.პ.ს. სერვისი-7

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: ***შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება***

სიდენტიფიკაციო კოდი: ***204532899***

დაფუძნების თარიღი: ***29 ივნისი 2007 წელი***

დამფუძნებელი **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო**

დაფუძნების ბრძანების **# 1-1/950 და თარიღი 26.06.07**

რეგისტრაციის # 204532899, თარიღი 29.06.2007, მარეგისტრირებელი ორგანო თბილისის საგადასახადო ინსპექცია

საწესდებო კაპიტალის ოდენობა დაფუძნებისას 40691130 ლარი

დამფუძნებლის წილი საწესდებო კაპიტალში 100%

კომპანიის საქმიანობის სფეროები:
1. გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები
2. საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა
3. სხვა ტექნიკის, მოწყობილობების და მატერიალური საშუალებების იჯარა

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართი: შეკვეთილი, საქართველო.

ფაქტიური მისამართი: შეკვეთილი, საქართველო

2. შპს „სერვისი-7“_ის ფუნქციონირების პირობები

შპს „სერვისი-7“ _ს ფინანსური ანგარიშგება შედგება ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებისაგან საანგარიშგებო პერიოდისათვის. საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდეგში - ფასს), რომელიც შედგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს), დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ , ასევე ინტერპრეტაციები, შემუშავებული ინტერპრეტაციების როგორც ძველი, ასევე ახალი კომიტეტების მიერ.

კომპანია ეწევა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენას საქართველოში მიღებული ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. მოცემული ანგარიშგება სრულად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა გამოყენება ფართოვდება.

შპს „სერვისი-7“ _ს შემუშავებული აქვს სააღრიცხვო პოლიტიკა.
მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით და ისტორიული ღირებულებით. გადახრა ისტორიულ ღირებულებიდან გახსნილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების შესაბამის განაყოფში.

პრაქტიკაში ოპერაციის არსი და სხვა ვალდებულებები, ასევე მოვლენები ყოველთვის არ პასუხობენ იურიდიულ ფორმას. **შპს „სერვისი-7“ -მა** ჩამოაყალიბა და აღრიცხვას აწარმოებს არა მხოლოდ მისი იურიდიული ფორმის შესაბამისად, არამედ მისი შინაარსის და ეკონომიკური არსის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება **ფასის** მიხედვით ხელმძღვანელობისგან საჭიროებს ანგარიშგებაში შეფასებებსა და წინადადებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვაზე და ინფორმაციის გახსნაზე პოტენციურ აქტივებსა და ვალდებულებებზე. შეფასების მონაცემები ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ მონაცემებს. ფაქტიური შედეგები განსხვავდება მიმდინარე შეფასებისაგან. ეს შეფასებები გადაიხედება პერიოდულად, აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირდება, ასეთი კორექტირებები აისახება ფინანსური შედეგების შემადგენლობაში იმ პერიოდში, როცა იქნა ცნობილი.

წარდგენის ვალუტა

აღრიცხვა იწარმოება ქართულ ლარებში. ეფუძნება ოპერაციისა და საქმიანობის ეკონომიკურ არსს. კომპანიამ განსაზღვრა ქართული ლარი შეფასების ვალუტად. სხვა ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები განიხილება უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებად. ქართული ლარი წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ტერიტორიაზე.

შპს „სერვისი-7“ _ს ***ფუნქციონირების პერსპექტივები უახლოეს მომავალში***

კომპანია მუშაობს გასართობი ატრაქციონების გაფართოებაზე. მომავალ წელს იგეგმება ახალი ატრაქციონების დამატება. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ **შპს „სერვისი-7”** ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს).

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ცალკეული ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად. ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის ძირითადი პირობები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებელებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. რეალური

ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.
გარდა ამისა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფინანსური ინსტრუმენტი მიიჩნევა კვოტირებულად აქტიურ ბაზარზე თუ განხორციელებული კომერციული გარიგებიდან ადვილად შეიძლება კვოტირებულ ფასზე ინფორმაციის მოპოვება და ეს ფასები წარმოადგენს ფაქტობრივ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები, ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების მეთოდებში შეიძლება გამოყენებულ იქნას დაშვებები, რომლებიც ეფუძნება არადაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთდება შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა თუ ეს დაშვებები რაიმე სახით გამოიწვევს მნიშვნელოვნად გასხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

გარიგების ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს, დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდიში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს.(მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

შეფასების მიზნით, ბასს 39-ში (“ფინანსური ინსტრუმენტები: შეფასების აღიარება”), ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანებები და (ბ) სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები (“FVTPL”). მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები იყოფა ორ ქვეკატეგორიად: (I) საწყისი აღიარებისას ამგვარად აღნიშნული აქტივები და (II) აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ განკუთვნილი. გარდა ამისა, ფინანსური იჯარიდან მისაღები სახსრები ცალკე კატეგორიას განეკუთვნება. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი შედის სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მიეკუთვნება სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიას.

სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან არაფიქსირებული დაფარვების მქონე არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს გარდა იმ აქტივებისა, რომელთა რეალიზაციასაც კომპანია ახლო მომავალში აპირებს. გარდა ამისა, კომპანიამ ახლად შესყიდულ ფინანსურ აქტივებს თავდაპირველი აღიარებისას შეიძლება მიანიჭოს „გასაყიდად განკუთვნილის“, „დაფარვის ვადამდე ფლობილის“ ან „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულის“ კვალიფიკაცია იმის მიხედვით, თუ როგორია ამ ინსტრუმენტების ბუნება ან მენეჯმენტის განზრახვები მასთან მიმართებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. კომპანიიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულება და აღირიცხება ამორტიზიბული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. შვილობილი კომპანია არის პირი, რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აისახება თვითღირებულებით. შვილობილი კომპანიებიდან ან ასოცირებული პირისგან მიღებული დივიდენდები კომპანიის ფინანსური ინფორმაციის მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარდება მაშინ, როდესაც განისაზღვრება დივიდენდის მიღების უფლება.

იმის განსასაზღვრად, არის თუ არა აუცილებელი გაუფასურების ზარალის აღიარება შვილობილ კომპანიაში ინვესტიციასთან დაკავშირებით, გამოიყენება ბასს 39-ის მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებელია, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება, როგორც ერთი მთლიანი აქტივი, გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით - მისი აღდგენადი ღირებულების (გამოყენებულ ღირებულებასა და სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უდიდესი ღირებულება) შედარებით მის საბალანსო ღირებულებასთან. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა ასევე აღიარდება ბასს 36-ის თანახმად - ინვესტიციის აღდგენადი ოდენობის შემდგომი გაზრდით.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმადაც მეიჯარე, შემოსავლის მიღების მიზნით, გადასცემს მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა გულისხმობს აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. საკუთრების უფლების გადაცემა სავალდებულო არ არის.

მეიჯარის ბალანსში ფინანსური იჯარა აღიარებულ უნდა იქნას აქტივის და შესაბამისი ვალდებულების სახით. აქტივისა და ვალდებულების შეფასება ხდება საიჯარო ქონების რეალური ღირებულებით საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისათვის.

ჩვეულებრივი იჯარის დროს უნდა დაირიცხოს საანგარიშო პერიოდის საიჯარო ხარჯები. ხარჯების აღიარება ხდება სისტემატიურ საფუძველზე. მისი სიდიდე დამოკიდებულია დროის მონაკვეთის ხანგრძლივობაზე, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე იღებს ეკონომიკურ სარგებელს მოცემული აქტივის გამოყენების შედეგად.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების

ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.
გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ სასარგებლო ვადაზე მათი ღირებულების თანაბარი განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობა-ნაგებობები	20
საოფისე მოწყობილობები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
მანქანა-დანადგარები	15
ოფისის აღჭურვილობა	10
არამატერიალური აქტივები	10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ცალკეული ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.
კომპანია შემოსავლების სამსახურისგან მისაღებ საგადასახადო აქტივებს აღიარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც კომპანია არარეზიდენტ პირებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით საშემოსავლო გადასახადს იხდის არარეზიდენტი პირის რეგისტრაციის ქვეყანაში.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ამორტიზირებულ ღირებულებებზე განხორციელებული ფინანსური აქტივების გაუფასურება.
გაუფასურების დანაკარგების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოქმნისას ერთი ან მეტი შემთხვევების შედეგად (დანაკარგის შემთხვევები), რომლებიც განხორციელდა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას და რომლებსაც აქვთ გავლენა თანხაზე ან ფინანსური აქტივის დადგენილი სამომავლო ფულადი სახსრების ბრუნვის დროის განსაზღვრა ან ფინანსური აქტივების კომპანია, რომელიც შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს, თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურება წარმოიქმნა ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, მიუხედავად იმისა მნიშვნელოვანია თუ არა ის და რომ ის მოიცავს აქტივს კომპანიაში მგავსი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებისთვის. საწყისი ფაქტორები იმისა, რომ კომპანია მიიჩნევს განსაზღვრაში არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული მისი გადავადებული სტატუსი და რეალიზება საკუთრების ბანკში ჩადებული უზრუნველყოფისა ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სხვა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმი გამოიყენება ასევე იმის გადასაწყვეტად არის თუ არა ობიექტური მტკიცებულება რომ წარმოიქმნა გაუფასურების დანაკარგი:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის დაკავშირებული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ზოგადად მთელი ქვეყნის თუ ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება კონტრაგენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება იანგარიშება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.
გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებაზე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, რომლიდანაც გამოქვითულია უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები მიუხედავად იმისა, დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის საფუძველზე.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწედებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

რეზერვები აისახება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა გაწევაც, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, გადასახადამდე განაკვეთით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულებისა და ვალდებულების სპეციფიური რისკების ბაზრისეული შეფასება. დროის გასვლით გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი/1 ევრო	3.2095	3.0701

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთრდოულად განხორციელების განზრახვა.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ცალკეული ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

შპს „სერვისი-7“ წარმოადგენს კომპანიას რომლის მთავარი საქმიანობა **გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები.ამ მიმართულებით იგი ახდენს თანხების აკუმულირებას საბანკო ანგარიშებზე და მიმართავს მათ ზემოაღნიშნულ სფეროში თავისი პოზიციების გამყარებისკენ, ასევე მომსახურების სფეროს გაფართოებისაკენ.**

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექმომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

5. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	მიწა	შენობები	ნაგებობები და მოწყობილობები	მოწყობილობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება 2018	**208,553**	**3,315,885**	**17,280,683**	**-**	**44,596,281**	**61,517**	**351,818**	**251,967**	**112,032**	**66,264,638**
გასვლა				(16,695)						-
შესყიდვა				27,517	88,210	18,729	157	9,322		90,992
გადატანა										-
ღირებულება 2019	**208,553**	**3,315,885**	**17,280,683**	**10,822**	**44,684,491**	**80,246**	**351,975**	**261,289**	**112,032**	**66,264,638**
ცვეთა 2018		**1,222,089**	**5,592,866**	**-**	**35,584,205**	**43,673**	**304,769**	**124,485**	**89,617**	**43,021,030**
ცვეთა 2019		**1,387,838**	**6,552,645**	**-**	**38,632,253**	**50,609**	**325,332**	**148,814**	**91,539**	**47,189,031**
წმინდა საბალანსო ღირებულება										
ღირებულება 2018	**208,553**	**2,093,796**	**11,687,817**	**-**	**9,012,076**	**17,844**	**47,049**	**127,482**	**22,414**	**23,243,608**
ღირებულება 2019	**208,553**	**1,928,047**	**10,728,038**	**10,822**	**6,052,238**	**29,637**	**26,642**	**112,475**	**20,493**	**19,116,944**

6. მარაგები

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, კომპანიას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით გააჩნია საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი მარაგები, ბალანსები მოიცავს შემდეგს:

მარაგები	2019	2018
საქონელი	21,479	26,983
ნედლეული და მასალა	1,098	100
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	843,184	676,642
ჯამი	**865,762**	**703,725**

მარაგები აღრიცხულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

7. სავაჭრო მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები

კომპანია ახდენს ანალიზურ აღრიცხვას დებიტორული დავალიანებების მიხედვით და საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშს არ იყენებს. დებიტორული მოთხოვნები მიმდინარეა. კრედიტორული დავალიანების ანგარიშისა და სახელფასო ანგარიშის ნაშთები წარმოადგენს პასიური ანგარიშის სადებეტო ნაშთებს რაც შინაარსობრივად წინასწარ ჩარიცხულ თანხაა. შესაბამისად კლასიფიცირებულია გაცემული ავანსების მუხლში.

მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სავაჭრო მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	33,297	32,998
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	259	797
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ-მოლარეები	-	126
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5,017	21,664
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	477
ჯამი	**38,574**	**56,063**

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ასახულია სამართლიანი ღირებულებით.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

2019 და 2018 წლების ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფულადი სახსრები და მათი ექვი.	2019	2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6,996	5,558
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,465	306,480
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში ანაბარზე	1,000,000	600,000
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში მოთხოვნამდე ანაბარზე	214,800	260,000
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	54

სულ	**1,223,262**	**1,172,092**

ანაბარისა და მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშები წარმოადგენს ბანკში გახსნილ ანაბრებს, რომელსაც ერიცხება სარგებელი ანაბრების მიხედვით შესაბამისად 7% და 5%-ის ოდენობით. ფულადი სახსრების ნაშთები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეესაბამება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ ნაშთებს.

9. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია სახელმწიფო (203840433).

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებებს წარმოადგენს ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის პირობებში მომწოდებელზე გადასახდელი თანხები. ასევე ავღნიშნავთ რომ მომწოდებელზე გადახდილი ავანსების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთი წარმოადგენს არსით მომწოდებლის დავალიანებას, რადგანაც მოხდა ჩარიცხულ ავანსზე გაცილებიტ მეტი ღირებულების საქონლის მოწოდება. შესაბამისად დებიტორებისა და მიღებული ავანსების საკრედიტო ნაშთები კლასიფიცირებულია როგორც სავაჭრო ვალდებულება. 2019 და 2018 წლების მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

კრედიტორული დავალიანება	2019	2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	1,017
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	23,953	9,037
ჯამი	**23,953**	**10,054**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია რეალური ღირებულებით.

11. შემოსავალი

შპს „სერვისი-7“ შემოსავლების დარიცხვას ახდენს დარიცხვის მეთოდით ბასს სტანდარტების შესაბამისად. რეგისტრირებულია დღგ გადამხდელად. შემოსავლის ძირითადი წყაროა გასართობი ატრაქციონებიდან მიღებული შემოსავლები, ასევე ბანკში ანაბარზე განთვსებულ თანხაზე დარიცხული პროცენტი. შემოსავალი შედგება შემდეგისაგან:

12. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება შემდეგისაგან :

	2019	2018
ძირითადი მასალების დანახარჯები	41,275	35,996
ელ.ენერგიის ხარჯები	85,174	93,890
პირდაპირი ხელფასი	838,842	802,892
დამხმარე მასალების დანახარჯები	377,177	520,375
500 ლარამდე ქონების ცვეთა	47,175	56,304
ცვეთა და ამორტიზაცია	4,165,994	4,249,940
რემონტის დანახარჯები	49,520	13,203
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	**5,605,156**	**5,772,598**

13. მიწოდებასა და რეკლამასთან დაკავშირებული ხარჯები

მიწოდებასა და რეკლამასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2019	2018
სარეკლამო ხარჯი	2,722	3,990
შრომის ანაზღაურება	344	563
მიწოდების სხვა ხარჯები	0.00	262.52
სულ მიწოდების და მომსახურების ხარჯები	**3,067**	**4,815**

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2019	2018
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	-	7,287
შრომის ანაზღაურება	306,574	288,932
სოციალური დანარიცხები	20,308	-
ოჯარის ხარჯები	27,833	27,833
კომპიტერის ხარჯები	-	153
კომუნიკაციის ხარჯი	6,056	6,728
ცვეთა და ამორტიზაცია	22,749	18,175
საგადასახადო ხარჯები	225,947	272,535
ბანკის საკომისიო ხარჯები	11,048	11,130
მივლინების ხარჯები	154	225
დაზღვევა	1,206	-
კომუნალური ხარჯი	3,648	1,520
აუდიტორული მომსახურეობა	4,900	4,900
სხვა ხარჯი	25,905	23,353
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**656,328**	**662,770**

15. სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება :

	2019	2018
საპროცენტო შემოსავლები	57,954	66,673
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი	21,253	1,132
სხვა არასამეწარმეო ხარჯები	(4,373)	(16,234)
სულ საოპერაციო შემოსავალი, წმინდა	**74,834**	**51,571**

16. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2019 და 2018 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში გასათვალისწინებელია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები. რისკების მნიშვნელოვანი სახეებია საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ასევე გასათვალისწინებელია მის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები. ვინაიდან კომპანიის საქმიანობა სეზონური ხასიათისაა ფინანსური რისკების ანალიზს ხელმძღვანელობა ახდენს განსაკუთრებული ყურადღებით.

შპს „სერვისი-7“-ს ოპერაციების ხორციელდება, როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე უცხოურ ვალუტაში. ასეთი სიტუაცია იწვევს საკურსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების არსებობას. დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე, გაცემულ და მიღებულ სესხებზე წარმოიქმნება საკურსო სხვაობები.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული

ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრდიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.
ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენა

COVID-19 – ის პანდემიასთან დაკავშირებულმა გლობალურმა მოვლენებმა გავლენა მოახდინა კომპანიის ფინანსურ შემოსავალზე, სახელმწიფო შეზღუდვებიდან გამომდინარე კომპანიამ მნიშვნელოვნად შეუმცირდა შემოსავლები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეფექტის შეფასება კომპანიის მომავალი ფუნქციონირების ასპექტში. ჩაკეტილმა საზღვრებმა და გამკაცრებულმა რეგულაციებმა გამოიწვია კომპანიის შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება წინა წლებთან შედარებით. მიუხედავად ამისა აღნიშნულ ფაქტორს კომპანიის ფუნქციონირება ეჭვქვეშ არ დაუყენებია.

19. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდეგ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა.